

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს „სამება“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წელი

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენ.	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	2,187,431	1,891,334
არამატერიალური აქტივები	1	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,187,431	1,891,334
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2	446,878	191,662
გადახდილი ავანსები	3	1,446,971	-
სხვა მოთხოვნები	4	300,865	108,715
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	784,762	439,452
ფული და ფულის ექვივალენტები	6	484,923	128,880
სულ მიმდინარე აქტივები		3,464,399	868,709
სულ აქტივები		5,651,830	2,760,043
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1,193,721	260,363
მიღებული სესხები	8	325,310	523,198
საგადასახადო ვალდებულებები	9	330,381	62,655
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,849,412	846,216
კაპიტალი			
კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		1,913,827	1,391,822
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)		1,888,591	522,005
სულ კაპიტალი		3,802,418	1,913,827
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,651,830	2,760,043

დირექტორი: _____ გ. ბაჟუნაიშვილი

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მოგება ზარალისა და სხვა შემოსავლების ანგარიშგება

მოგება ზარალისა და სხვა შემოსავლები		2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	11,729,739	4,693,436
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(8,636,067)	(2,232,343)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		3,093,672	2,461,093
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(1,107,397)	(1,510,378)
ფინანსური ხარჯი	13	(97,684)	(13,808)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,205,081)	(1,524,186)
არასაოპერაციო შემოსავლები		-	-
არასაოპერაციო ხარჯები		-	(414,902)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,888,591	522,005
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,888,591	522,005
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული შედეგი		-	-
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		1,888,591	522,005

დირექტორი: _____ გ. ბაჟუნაიშვილი

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

	აკუმულირებული (ზარალი) / მოგება	სულ
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,913,827	1,913,827
პერიოდის შედეგი	1,888,591	1,888,591
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,802,418	3,802,418

დირექტორი: _____ გ. ბაჟუნაიშვილი

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	1,888,591	522,005
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	212,538	137,886
დარიცხული პროცენტი	97,684	13,808
	2,198,813	673,699
 (ზრდა)/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(255,216)	(191,323)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დაებიტორულ დავალიანებაში	(345,310)	(26,905)
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გაწეულ ხარჯებში	(192,150)	276,963
(ზრდა)/შემცირება სხვა მოთხოვნები	(1,446,971)	730
 ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებები	267,726	62,655
ზრდა/(შემცირება) თანამშრომლებთან ვალდებულებები	-	(91,099)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	933,358	257,198
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,160,250	961,918
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(508,635)	(1,478,417)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(508,635)	(1,478,417)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ზრდა/(შემცირება) მიღებულ სესხებში	(197,888)	523,198
განაწილება მესაკუთრეებზე	-	-
გადახდილი პროცენტი	(97,684)	(13,808)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(295,572)	509,390
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ	-	-
ექვივალენტებზე		
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	356,043	(7,109)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	128,880	135,989
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	484,923	128,880

დირექტორი: _____ გ. ბაჟუნაიშვილი

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამება“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 27 თებერვალს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 446955689.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებისა და ნაგებობების სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები - საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა - ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 41200.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქობულეთი, ს. ხუცუბანი.

კომპანიის დამფუძნებელია გიორგი ბაჟუნაიშვილი, (პ/ნ: 61004048240), 100% წილი.

კომპანიის დირექტორია გიორგი ბაჟუნაიშვილი.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
USD/GEL	2.8068	2.6894
EUR/GEL	2.9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მსს ფასს შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ანგარიშგება შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისაგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულება. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის ბოლოსათვის, 2. პერიოდის მოგება ზარალსა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, 3. პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 4. პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, 5. განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ბუღალტრული აღრიცხვა: როგორც სინთეზური, ასევე ანალიზური აღრიცხვისათვის გამოყენებულია პროგრამა ორისი. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირია მთავარი ბუღალტერი. ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა წრფივი მეთოდით.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

მარაგები

მარაგები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება - მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შემდგომი აღიარება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან, ამასთანავე სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მასთან დაკავშირებული შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა, დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარდება სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება სავაჭრო ფასდათმობით, ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულებით ფასდათმობით. სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ამონაგები წარმოდგენილია ცალკეული კატეგორიების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწვიდან მიღებული ამონაგები

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება და ამონაგები აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება ნიშნავს, რომ კმაყოფილებოდა ყველა შემდეგი პირობა:

- ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

ა) როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებით ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

ბ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

გაყიდვებთან დაკავშირებული წარმოებული ღირებულების დამატებითი გადასახადის აღიარება ხდება იმ მოვლენაზე, რომელიც უფრო ადრე მოხდა:

ა) კლიენტებისგან მოთხოვნის ამოღება;

ბ) კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის ვადის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულისა და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავალი

მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გაუწევს მომსახურებას, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ფინანსური შემოსავლები და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს საპროცენტო შემოსავალსა და ხარჯს. მათი აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდით. სესხის ხარჯები, რომელთა პირდაპირი მიკუთვნება ვერ ხერხდება შესაბამის აქტივზე, აღიარდება მოგება-ზარალში.

გადასახადები

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით,

რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეიტხებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები

მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სახელფასო განაცემები

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო). თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ფასდება თავად ურთიერთობის შინაარსი და არამართო მისი სამართლებრივი ფორმა. თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ. სათავე საწარმოსა და მის შვილობილ საწარმოებს შორის ურთიერთობა ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებლად უნდა გამჟღავნდეს, იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა ამ დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ა) სამეურნეო ოპერაციების თანხებს; ბ) დაუფარავი ნაშთების თანხას; გ) დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებულ საეჭვო ვალების ანარიცხებს; და დ) დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ უიმედო ან საეჭვო ვალებთან დაკავშირებით მოცემული პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ხარჯებს.

დაკავშირებული მხარეები არიან:

პარტნიორი - გიორგი ბაჟუნაიშვილი, პ/ნ: 61004048240.

დირექტორი - გიორგი ბაჟუნაიშვილი, პ/ნ: 61004048240.

6	ფული და ფულის ეკვივალენტები	31.12.2024	31.12.2023
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	474,497	115,665
	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	92	94
	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	10,334	13,121
		484,923	128,880

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იქნეს, როგორც ურისკო, რადგან ბანკები, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები, არის სანდო საკრედიტო დაწესებულებები.

5	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31.12.2024	31.12.2023
	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	784,762	439,452
		784,762	439,452

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების დიდი ნაწილი კომპანიას აქვს ძირითადი საქმიანობიდან.

კომპანიას ასევე აქვს მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.

2	სასაქონლო მატერიალური მარაგები	31.12.2024	31.12.2023
	დამხმარე მასალები	-	-
	საქონელი	446,878	191,662
	სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	-	-
		446,878	191,662

მარაგები შედგება მყიდველებთან მიტანილი და დაუმონტაჟებელი მასალებისაგან, რომლებზეც პერიოდის ბოლოს არ გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტები. ისინი შეფასებულია თვითღირებულებით. პრაქტიკულად არ არსებობს მარაგი, რომლის შეფასებაც საჭირო გახდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლები შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნები	ავეჯი და სხვა ინვესტი- ციური	სატრანს- პორტო საშუა- ლებები	მანქანა- დანადგარები	არამატე- რიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება						
დეკემბერი 31, 2023	527,322	-	782,690	985,070	-	2,295,082
მატება	53,038	47,119	408,479	-	-	508,636
კლება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	580,360	47,119	1,191,169	985,070	-	2,803,718
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
დეკემბერი 31, 2023	-	-	50,870	352,879	-	403,749
მიმდინარე წლის ცვეთა	1,727	775	103,589	106,447	-	212,538
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	1,727	775	154,460	459,325	-	616,287
ნარჩენი ღირებულება	-					
დეკემბერი 31, 2023	527,322	-	731,820	632,191	-	1,891,334
დეკემბერი 31, 2024	578,633	46,343	1,036,709	525,745	-	2,187,431

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადასინჯულია წლის ბოლოს და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა შეფასებისაგან გამოვლენილი არ არის. შესაბამისად, სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის.

3. გადახდილი ავანსები 1,446,971 ლარი არის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების გარანტია, რომელიც დაკავებულია კომპანიის მომსახურე ბანკის მიერ პროექტის დასრულებამდე.

4	სხვა მოთხოვნები	31.12.2024	31.12.2023
	გადახდილი ავანსი	336,623	124,573
	საგადასახადოს ერთიანი ანგარიში	(35,757)	(15,858)
		300,865	108,715

მოთხოვნა წარმოშობილია მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსებიდან, რომელიც შემცირებულია ამ ავანსებზე მიღებული დღგ-ს ჩათვლით.

7	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
	გადახდილი ავანსები	1,000,973	223,944
	მოწ და მომსახ წარმოქმნილი ვალდებულებები	192,748	36,419
		1,193,721	260,363

კომპანიას ურთიერთობა აქვს მყიდველებისაგან მიღებული ავანსები, აქედან გამომდინარე, ფიქსირდება დიდი კრედიტორული დავალიანება.

10	შემოსავალი რეალიზაციიდან	31.12.2024
	შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	-
	შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	11,729,739
		11,729,739

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შედგება ძირითადი საქმიანობისგან მიღებული შემოსავლებისაგან, ასევე შემოსავლებს იჯარიდან.

		31.12.2024
11	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	
	გაყიდული/შემენილი საქონელი	-
	პირდაპირი ხელფასი	1,490,017
	ძირითადი მასალებისა და მომსახურების	7,146,050
	დანახარჯები/შემენა	
		(8,636,067)

რეალიზებული საქონლის თვითღირებულების უდიდეს ნაწილს შეადგენს შემენილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპანია აღრიცხავს პერსონალის ხელფასს ცალკე ადმინისტრაციულ და ცალკე პირდაპირ ხელფასად, ამიტომ ზემოთ მოყვანილი თვითღირებულების ცხრილი მოიცავს პირდაპირ სახელფასო დანახარჯებს.

		31.12.2024
12	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	
	ადმინისტრაციული ხარჯი	(197,619)
	იჯარის ხარჯი	-
	შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	(697,240)
	ცვეთა და ამორტიზაცია	(212,538)
		(1,107,397)

13. რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლობის გამო კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს. ძირითადი რისკის ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

• საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. კომპანიის საბაზრო რისკი ძირითადად დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რაც გამომდინარეობს კომპანიის საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან. სავალუტო რისკი კომპანიას აქვს ზოგიერთი ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად აქვს საკურსო სხვაობების რისკი. საკურსო სხვაობები კომპანიას წარმოექმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის, სესხებისა და კრედიტების გამო.

ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურებისა და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას საშუალებას აძლევს მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

• საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია თითოეული კონტრაქტორის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ყველა კლიენტის კრედიტუნარიანობა ფასდება ინდივიდუალურად კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადებისა და პირობების შეთავაზებამდე.

• ლიკვიდურობის რისკი

შპს „სამება“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ლიკვიდურობის რისკი ასახავს კომპანიის სირთულეს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანია უზრუნველყოფს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის ქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულებების ვადაში დასაფარად.

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე, არ დაფიქსირებულა.